

სამაგისტრო პროგრამის დასახელება: ქართველური ენათმეცნიერება

მოდულები:

1. ქართული სალიტერატურო ენა და დიალექტები
2. ქართველური ენები
3. ქართული ენის პრაგმატიკა
4. ქართული ენის სწავლების თეორია
5. ძველი ქართული ენა

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: ენათმეცნიერების მაგისტრი / MA in Linguistics

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი რამაზ ქურდაძე
კონსულტანტი ემერიტუსი დ. მელიქიშვილი

სამაგისტრო პროგრამის ანალოგი:

ცნობილია, რომ ქართული და ქართველური ენებისა და დიალექტების შესწავლით დაინტერესებულნი არიან უცხოელი სპეციალისტები. ამ ენების შემსწავლელი ჯგუფები არსებობს მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში, როგორცაა: სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტი (რუსეთი), პარიზის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი (საფრანგეთი), მიუნხენის უნივერსიტეტი, გეტიგენის უნივერსიტეტი, ფრანკფურტის შედარებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტი (გერმანია), ნიუ იორკის სახლმწიფო უნივერსიტეტი სტონი ბრუკში, დარტმუთის უნივერსიტეტი (აშშ) და სხვ.

ყველა ამ უნივერსიტეტთან გვაქვს სასწავლო-სამეცნიერო ურთიერთობა, მაგრამ სამაგისტრო პროგრამის ანალოგი ამ სათაურით («ქართველური ენათმეცნიერება») საზღვარგარეთ არ არსებობს.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

ა) პროგრამის მიზანი:

სამაგისტრო პროგრამა ძირითადად განკუთვნილია სტუდენტებისათვის, რომლებსაც საწყისი საბაკალავრო განათლება ენათმეცნიერულ დარგებში აქვთ მიღებული და სურთ გააღრმავონ თავიანთი ცოდნა ქართული, ქართველური (სვანური, მეგრული, ლაზური) ენებისა და დიალექტების სფეროში, ქართულის როგორც მშობლიური ასევე მეორე ენის სწავლების თეორიისა და ქართული ენის პრაგმატიკის სფეროებში. სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია აგრეთვე ყველა იმ სტუდენტისათვის, რომელთაც საბაკალავრო განათლება ჰუმანიტარულ დარგებში ახვთ მიღებული.

სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს აღნიშნული ენების კვალიფიციური სპეციალისტიები, კერძოდ, მაგისტრანტებს საფუძვლიანად შეასწავლოს ქართული და ქართველური ენებისა და დიალექტების ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურები.

სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს შექმნას თანამედროვე ქართული ენის სასწავლო პროგრამები, რომლებიც გამოიყენება ქართული ენის შესასწავლად როგორც ქართულენოვანი, ისე არაქართულენოვანი მაგისტრანტებისათვის. გააცნოს ლინგვისტური კვლევის თანამედროვე მეცნიერული თეორიები, ისტორიულ-

შედარებითი და დესკრიპციული ანალიზის პრინციპები, ენის დამუშავების კომპიუტერული მეთოდები; ასწავლოს დიალექტების აღწერის პრინციპები; განუვითაროს დიალექტურ ტექსტებზე მუშაობის უნარი; ანალიტიკური აზროვნება, საკითხისადმი კრიტიკული მიდგომა და მეცნიერული კვლევის უნარი. სამაგისტრო პროგრამა მიზნად ისახავს ქართველური ენების სპეციალობის ფილოლოგთა მომზადებას და ამ სფეროს სპეციალისტთა ინტეგრაციას საერთაშორისო ლინგვისტურ სივრცეში.

ბ) სწავლის შედეგები:

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის დასრულების შედეგად მიღებული კვალიფიკაცია, კომპეტენცია და მეცნიერული კვლევის უნარი კურსდამთავრებულს შესაძლებლობას მისცემს ყოველმხრივ შეისწავლოს და გამოიყენოს ქართული და ქართველური ენების და დიალექტების ტექსტები, სალექსიკონო მასალები. მაგისტრანტი შეიძენს ფართო ცოდნას, რომელიც აუცილებელია თანამედროვე ინტერდისციპლინარული კვლევებისათვის.

კურსდამთავრებულს საფუძვლიანად ეცოდინება ქართული და ქართველური ენებისა და დიალექტების ენობრივი თავისებურებანი, შეძლებს აღნიშნული ენებისა და დიალექტების ლინგვისტურ ანალიზს, ტექსტის ენობრივად გამართვას, კონკრეტული ენისა თუ დიალექტის შესახებ ლინგვისტური გამოკვლევის დაწერას. შესაძლებლობა ექნება პრაქტიკულად დაეუფლოს ქართველურ ენებს.

კურსდამთავრებულს ეცოდინება ქართულის როგორც მშობლიური ასევე მეორე ენის სწავლების თეორიული საკითხები.

ქართული და ქართველური ენებისა და დიალექტების ენობრივი თავისებურებების ცოდნა, ერთი მხრივ, და თანამედროვე საენათმეცნიერო მეთოდების ცოდნა, მეორე მხრივ, კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს შეისწავლოს, გააანალიზოს და გამოსაცემად მოამზადოს ლიტერატურული, დიალექტური (ქართული, სვანური, მეგრულ-ლაზური) ტექსტები და ლექსიკონები.

კურსდამთავრებული შეძლებს ახალი მეთოდების პრაქტიკულ გამოყენებას დამოუკიდებელი კვლევისას, ასევე ტრენინგ-კურსებისა და სემინარების ორგანიზება-გადლოლას ქართული ენის გრამატიკის სწავლებასთან დაკავშირებით. სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრს ეცოდინება ენობრივი ტექსტის კომპიუტერული დამუშავებისათვის აუცილებელი პროგრამები, შეძლებს შეადგონოს მონაცენთა ბაზა ინდექსებითა და საძიებლებით; შეძლებს ბიბლიოგრაფიის მომზადებას თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.

გ) დასაქმების სფეროები:

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს როგორც მკვლევარსა და ლექტორს მუშაობა შეეძლება:

- საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰუმანიტარული პროფილის კვლევით ინსტიტუტებში.

- საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ნებისმიერ სხვა ბიბლიოთეკაში.
- საქართველოს არქივებში.
- ისტორიულ-ეთნოგრაფიულ, ლიტერატურულ და მემორიალურ მუზეუმებში.
- საგამომცემლო ორგანიზაციებში.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა

- პროგრამაზე დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში.
- სასპეციალიზაციო გამოცდა ქართული ენაში.
- სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარული მეცნიერების ფილოლოგიის დარგში.
- მაგისტრატურაში ჩამბარებელს არ მოეთხოვება არავითარი დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენა სამეცნიერო კონფერენციებში და ექსპედიციებში მონაწილეობის ან საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში სტაჟირების შესახებ. ასეთი წინაპირობები მხოლოდ სასურველია და არა სავალდებულო. ამგვარი გამოცდილების მქონე პიროვნებას უპირატესობა პროგრამაზე ჩაბარებისას მიენიჭება მხოლოდ სხვა ერთნაირ პირობებში.

მისაღები გამოცდების პირობები:

- მისაღები საგამოცდო სისტემა წერილობითი ფორმით ჩასატარებელ ერთიან გამოცდას გულისხმობს, რომელიც ფილოლოგიის მიმართულებით განხორციელდება ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე.
- მაგისტრანტს მოეთხოვება უცხო ენის ცოდნა B2 დონით მაინც. გამოცდა უცხო ენაში სავალდებულო არ არის.

კვლევითი კომპონენტი:

სამაგისტრო პროგრამის მოდულების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ქართული ენის ინსტიტუტის ქართველური ენათმეცნიერებისა და ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევის დეპარტამენტებში, ქართველური ონომასტიკისა და ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელ სამეცნიერო ცენტრები.

თსუ ყოფილი ახალი ქართული ენისა და ძველი ქართული ენის კათედრების მიერ შესრულებული და მიმდინარე პროექტები:

1. “ქართული ენის განვითარების ტენდენციები”, პროექტის ხელმძღვანელი პროფ. ე. ბაბუნაშვილი. პროექტი დააფინანსა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტმა. 1998-2002.
2. “ქართული ზმნის კატეგორიების მიმართებანი ინდოევროპულ ზმნის კატეგორიებთან”, ხელმძღვანელი პროფ. დ. მელიქიშვილი. პროექტი დააფინანსა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის დეპარტამენტმა. 1998-2002.

3. INTAS project 96 – 0123 „ქართული ზმნის უღლების სისტემა“. (“System of the Georgian Verb Conjugation”). პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი პროფ. დ. მელიქიშვილი.
4. სესფ-ის გრანტი #GNSF/ST06/2-038 : „ძველქართულ-ბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური დოკუმენტირებული ლექსიკონი“. პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი პროფ. დ. მელიქიშვილი 2007-2009.
5. „ენობრივი სიტუაცია საქართველოში“, დონორი ორგანიზაცია – ფოლკსვაგენის ფონდი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, 2006-2009. პროექტში მონაწილეობდნენ თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის თანამშრომლები: პროფ. ვ. იმნაიშვილი, პროფ. რ. ქურდაძე, პროფ. ნ. შარაშენიძე, პროფ. კ. გაბუნია.
6. პროექტი – „სვანური ენა“ გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი, თბ., 2007 დონორი ორგანიზაცია შვეიცარიის საელჩო საქართველოში, პროექტში მონაწილეობდა თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის თანამშრომელი პროფ. რ. ქურდაძე (პროფ. ზ. ჭუმბურიძესთან და ლ. ნიჟარაძესთან ერთად).
7. თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტის თანამშრომელი პროფ. რ. ქურდაძე ფულბრაიტის გრანტით 2007-2008 სასწავლო წელს ვიზიტორი პროფესორის სტატუსით მუშაობდა ნიუ იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტონი ბრუკში (აშშ).

სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები: სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი შეფასების კრიტერიუმები გამომდინარეობს ფაკულტეტის მიმართულებით ნაშრომისადმი წაყენებული მოთხოვნებიდან. სახელდობრ:

- სიახლე, აქტუალობა, ანალიზის სიღრმე, პრობლემატიკაში გარკვევის უნარი.
- დამოუკიდებლობა შემოქმედებითი მიდგომა განხილული პრობლემისადმი, საკუთარი თვალსაზრისის დაცვისა და დამტკიცების უნარი.
- თეორიული დაბულებების ურთიერთკავშირი ფაქტობრივ მონაცემებთან, უახლესი თეორიული მიდგომების, სტატისტიკური და ფაქტოლოგიური მასალის გამოყენება.
- ნაშრომში ავტორის მიერ დასმული ამოცანებს გადაწყვეტის სისრულე.
- მასალის გადმოცემის ენობრივი გამართულობა და შინაარსობრივი ლოგიკურობა.

სამეცნიერო კვლევის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენის ინსტიტუტი, რომელიც შემდეგი განყოფილებებისაგან შედგება:

1. ქართველური ენათმეცნიერების დეპარტამენტი.
2. ძველი ქართული ენისა და ტექსტოლოგიური კვლევის დეპარტამენტი.
3. ქართველური ონომასტიკის სამეცნიერო ცენტრი.
4. ქართულ ხელნაწერთა შემსწავლელი სამეცნიერო ცენტრი «ორიონი».

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

№	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კურსის	კრედიტების საერთო რაოდენობა
სავალდებულო კურსი ყველა მოდულისათვის				
	სახელისა და ზმნის კატეგორიების სისტემური ანალიზი	სავალდებულო		5
	ქართველ ენათა შედარებითი გრამატიკა	სავალდებულო		5
	ენათა ინტერეფერენციები	სავალდებულო		5
	ბუნებრივ ენათა დამუშავება	სავალდებულო		5
	ქართული სამწერლობო ენის ისტორიული გრამატიკა	სავალდებულო		5
	ენა და კულტურა (ქართული ენის კულტურ- ასპექტები) ანთროპოლოგიური	სავალდებულო		5
1 მოდული – ქართული სალიტერატურო ენა და დიალექტები (30 კრედიტი)				
	ქართული შესიტყვების სტრუქტურა- მექანიზმი	სავალდებულო		5
	ქართული ენის აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტები	სავალდებულო		5
	არეალური დიალექტოლოგია	სავალდებულო		5
	ენის ისტორია და დიალექტოლოგია	სავალდებულო		5
	თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა (ცვლილებები და ნორმა)	სავალდებულო		5
	მხატვრული ტექსტის ენობრივი ფენომენი	სავალდებულო		5
მე-2 მოდული – ქართველური ენები (30 კრედიტი)				
	კოლხური ენის ფონემატური სტრუქტურა	სავალდებულო		5
	სვანური ენის ფონემატური სტრუქტურა	სავალდებულო		5
	კოლხური ენის გრამატიკა	სავალდებულო		5
	სვანური ენის მორფო-სინტაქსი	სავალდებულო		10
	კოლხური ენის ლექსიკოლოგია	სავალდებულო		5
	სვანური ენის ლექსიკოლოგია	სავალდებულო		5

მე-3 მოდული – ქართული ენის პრაგმატიკა (30 კრედიტი)			
	ქართული სამეტყველო ეტიკეტი	სავალდებულო	5
	მასმედიის ენა	სავალდებულო	5
	ქართული პროფესიული ენა	სავალდებულო	5
	ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა	სავალდებულო	5
	დისკურსის ანალიზი	სავალდებულო	5
	ლინგვოკულტუროლოგია	სავალდებულო	5
მე – 4 მოდული – ქართული ენის სწავლების თეორია (30 კრედიტი)			
	I. ქართული ენის სწავლების ისტორია/ II. პედაგოგიური აზრის ისტორია	სავალდებულო	5
	ქართული ენის გრამატიკის სწავლების თანამედროვე თეორიები	სავალდებულო	5
	ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების თეორია	სავალდებულო	5
	პედაგოგიკა	სავალდებულო	5
	განათლების სისტემები და მათი სწავლების სამართლებრივი საფუძვლები	სავალდებულო	5
	განათლების ფსიქოლოგია	სავალდებულო	5
მე-5 მოდული – ძველი ქართული ენა (30 კრედიტი)			
	ძველი ქართული თარგმანის ენობრივი სტილი / ძველი აღთქმის ქართული თარგმანის ენობრივი სტილი და თარგმანის ტექნიკა	სავალდებულო	5
	ძველი ქართული თარგმანის ენობრივი სტილი ელინოფილური მიმართულების თარგმანების თარგმანების ენობრივი სტილი (შავი მთა-გელათი)	სავალდებულო	5
	ძველი ქართული ენის საკვანძო საკითხები	სავალდებულო	5
	ძველი ქართული ორიგინალური მწერლობის ენობრივი სტილის საკითხები	სავალდებულო	5
	ტექსტუალური კრიტიკის თეორია და პრაქტიკა	სავალდებულო	10
არჩევითი საგნები (30 კრედიტი)			
	ენობრივ დონეთა შუალედური სისტემები	არჩევითი	
	სინტაქსის საკვანძო საკითხები	არჩევითი	
	ორატორის სიტყვის ხელოვნება	არჩევითი	

	(ორატორული მეტყველება)		
	სემიოტიკა	არჩევითი	
	თანამედროვე ქართულის დისკურსის ანალიზი	არჩევითი	
	უახლესი ლინგვისტური თეორიები და მეთოდები	არჩევითი	
	I ენა: ძვ. ბერძნული	არჩევითი	
	პალეოგრაფია, კოდიკოლოგია	არჩევითი	
	სულ		120

საგამოცდო ბილეთის სტრუქტურა და შეფასება ქულებში

გამოცდა შეფასდება 100 ქულიანი სისტემით. ბილეთში შედის 4 საკითხი, თითოეული საკითხი ფასდება მაქსიმუმ 25 ქულით.

შეფასების კრიტერიუმები:

სტუდენტებს მიეცემათ 4 საკითხი და თითოეულში ქულები ასე გადანაწილდება:

1. პასუხის შესაბამისობა სათაურთან - 8 ქულა
2. ლოგიკური არგუმენტაცია (ანალიზის უნარი) - 8 ქულა
3. მასალის ცოდნა - 9 ქულა

საგამოცდო საკითხები ქართულ ენაში

1. ქართველური ენების ადგილი მსოფლიოს ენათა სისტემაში (გენეალოგიურ და მორფოლოგიურ კლასიფიკაციაში)
2. ქართული სამწერლობო ენის წარმოშობისა და განვითარების გზა. ქართული, ენა – საერთო სახალხო და სალიტერატურო ენა ქართველური ტომებისათვის (“ქართლად მრავალი ქუეყანა ო ალერაცხების”)
3. ქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემა და თეორიები. ქართული ანბანის განვითარების საფეხურები.
4. უძველესი ქართული წერილობითი ძეგლები. წარწერები და ხელნაწერები, მათი დათარიღება და მნიშვნელობა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის.

ფონეტიკა და ფონოლოგია

1. ქართული სალიტერატურო ენის ფონემატური სტრუქტურა და მასში მომხდარი ცვლილებები: ხმარებიდან გადავარდნილი ასოები; გვიან გაჩენილი გრაფემები და მათი ფუნქციები; თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა, თანხმოვანთა სისტემა; თანხმოვანთა ჯგუფები წარმოთქმის ადგილისა და რავგარობის მიხედვით; მარცვალი, ძირითადი ფონეტიკური მოვლენები: ასიმილაცია, დისიმილაცია, რედუქცია, მეტათეზისი; მახვილი.

ლექსიკა და ფრაზეოლოგია

2. ენის ლექსიკური ფონდი; ძირეული და წარმოქმნილი სიტყვები; აფიქსური სიტყვაწარმოება; კომპოზიცია; კომპოზიტა მართლწერა; სიტყვის მნიშვნელობის ცვლა ისტორიულად; ლექსიკის სემანტიკური მიმართებები: სინონიმია და ანტონიმია;

პოლისემია და ომონიმია; ნასესხები მასალა ლექსიკურ ფონდში; სესხება და კალკირება.

მორფოლოგია

3. მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის საფუძველი; არსებითი სახელი და მისი შინაარსობლივი ჯგუფები; არსებითი სახელის ბრუნება: ბრუნების ტიპებად (სახეებად) დაყოფის კრიტერიუმები ქართულში. სახელის ფუძის კუმშვა და კვეცა; ისტორიულად განსხვავებული ორი მორფოლოგიური ტიპი ქართულ ბრუნვათა სისტემაში. თავისებური ფორმაწარმოების სახელები; სახელის რიცხვის წარმოება; ბრუნვის ნიშნები ძველსა და ახალ ქართულში, საკუთარ სახელთა ბრუნების თავისებურებანი ძველსა და ახალ ქართულში. თანდებული ძველსა და ახალ ქართულში და ლოკალური ბრუნვების საკითხი თანამედროვე ქართულის ბრუნვათა სისტემაში. შერწყმული და ცალკე მდგომი თანდებულები. ორგვარი მრავლობითი და მათი გამოყენება ძველსა და ახალ ქართულში; რიცხვის ნიშანთა გენეზისის საკითხი.
4. ზედსართავი სახელი და მისი ჯგუფები; ხარისხის წარმოება; ზედსართავი სახელის ბრუნება დამოუკიდებლად და არსებით სახელთან ერთად ძველსა და ახალ ქართულში; რიცხვითი სახელი; მისი წარმოებისა და მართლწერის თავისებურებები; ნაცვალსახელი; ნაცვალსახელთა ჯგუფები; ნაცვალსახელთა ფორმაწარმოებისა და მართლწერის თავისებურებები. პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელთა ფუძის აგებულებისა და არსებით სახელთა ბრუნვის ნიშნების გენეზისის საკითხი ქართულში.
5. ზმნა: სტატიკა და დინამიკა: მოქმედებისა და მდგომარეობის სემანტიკა და ფორმა ქართულ ზმნაში; პირისა და რიცხვის გამოხატვის სისტემა ზმნაში; პირიანობა და ვალენტობა; ზმნის პირთა ინვერსიის საკითხი III სერიის ფორმებში დიაქრონიული და სინქრონიული თვალსაზრისით.
6. დროის გამოხატვა ზმნაში; დროის სამწევრა სისტემის ჩამოყალიბება და დროისა და კილოს ურთიერთმიმართების საკითხი ისტორიული თვალსაზრისით: მომავალი დროის გამოხატვა ძველსა და ახალ ქართულში. დრო-კილოთა ჯგუფები ქართული ზმნის უღლების სისტემაში. ზმნისწინი: ზმნისწინთა ფუნქციები, ზმნისწინთა მართლწერა; ასპექტი, მისი ადგილი ზმნურ კატეგორიათა შორის; მწკრივი, როგორც კომპლექსური კატეგორია; ზმნურ ფორმათა სერიებად და მწკრივებად დაყოფის საფუძველი. მწკრივები და სერიები ძველსა და ახალ ქართულში. ხმარებიდან გამოსული მწკრივები და მათი ფორმოვლივი და ფუნქციური ანალიზი (აწმყოს ხოლმეობითი, I ბრძანებითი, II ბრძანებითი, II ხოლმეობითი, III ხოლმეობითი). I სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები ძველ ქართულში (ცალკეულ მწკრივთა ფორმოვლივი და ფუნქციური ანალიზი; -ოდ სავრცობიან ზმნათა უღლება I სერიაში; -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა უღლება I სერიაში -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა უღლება I სერიაში). III სერიის მწკრივთა წარმოება გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში.
7. ქართული ზმნის გარდამავლობის საკითხი. გარდამავლობის განსაზღვრის კრიტერიუმები. უღლებისა და წარმოქმნის კატეგორიები.
8. გვარის კატეგორია. მისი განსაზღვრების პრობლემა გრამატიკულ ლიტერატურაში. კონვერსია და გვარი. გვარი და გარდამავლობა. მოქმედებითი გვარის სტრუქტურა და კონსტრუქცია. ვნებითი გვარის ფორმათა სტრუქტურა და კონსტრუქცია. საშუალო გვარის გამოყოფის კრიტერიუმები: “მედიოაქტივი” და “მედიოპასივი”. ქართული

ზმნის უღლებადი ფორმების «გვარის» კატეგორიის მიხედვით კლასიფიკაციის პრინციპების ნაკლულევანება.

9. პირთა მიმართებისა და “ქცევის” (ვერსიის) კატეგორიის საკითხი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში.
10. ”კონტაქტის” კატეგორია. პირველადი და მეორადი კაუზატივები.
11. ქართული ზმნის უღლებადი ფორმების კლასიფიკაციის პრინციპები. უღლების ტიპები (ა. შანიძე).

სინტაქსი

1. სინტაქსი, როგორც გრამატიკის დარგი, მისი საგანი. სიტყვათა სინტაქსური შეკავშირება. სინტაგმის ცნება. სიტყვათა სინტაქსური კავშირის სახეები: შეთანხმება, მართვა, მირთვა. სუბორდინაციისა და კოორდინაციის თეორია (არნ. ჩიქობავა). შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმი ძველსა და ახალ ქართულში.
2. წინადადება, როგორც სინტაქსური ერთეული, მისი განსაზღვრა, წინადადების ტიპები მოდალობის მიხედვით; მოდალობის გამოხატვის საშუალებანი; წინადადების ტიპები აგებულების მიხედვით: მარტივი, შერწყმული და რთული წინადადება; წინადადების მთავარი წევრები; წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები; მარტივი წინადადების სახეები; შერწყმული წინადადების ტიპები; განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები.
3. რთული წინადადება და მისი ორი ქვესახეობა; რთული თანწყობილი წინადადება; რთული ქვეწყობილი წინადადება და მისი სახეები; დამოკიდებულ წინადადებათა კლასიფიკაცია სამი ნიშნის მიხედვით; დამოკიდებულ წინადადებათა ამოცნობის ხერხები.
4. კავშირთა (წევრ-კავშირთა) და საკორელაციო სიტყვათა ურთიერთმიმართება; შერეული სახის რთული წინადადებები; სხვათა სიტყვა: პირდაპირი და ირიბი ნათქვამი; სხვათა სიტყვის ნაწილაკები და მათი გამოყენების წესები.

ლიტერატურა

1. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973 // ა. შანიძე, თხზულებანი, ტ., II, თბ., 1980
2. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976
3. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952
4. არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968
5. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლ, ტ. I, თბ., 1950 // თბ., 1998
6. გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1999
7. კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997
8. ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, 1984
9. ზ. სარჯველაძე, ძვ. ქართული ენა, თბ., 2004
10. ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ქართულში, თბ., 1954
11. ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957
12. ივ. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, ნაწ. I-II, მაინის ფრანკფურტი, 1996

13. ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986
14. ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1989
15. ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975
16. დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001
17. მ. სუხიშვილი, სტატიკური ზმნები ქართულში, თბ., 1976
18. ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული სინტაქსი, თბ., 1977
19. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1986
20. კრებული “სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში”, ტ. I, ვ. თოფურიას რედ., თბ. 1986.

კონსულტაციისათვის შეგიძლიათ მიმართოთ პროგრამისა და მოდულის ხელმძღვანელებს.